სარდიონ ზედელაშვილი
Sardion Zedelashvili
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*Faculty of Humanities*


# ოკუპირებული აფხაზეთი – ინტერესთა გადაკვეთის ადგილი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში

# Occupied Abkhazia – a Place of Intersection of Interests in the North-West Caucasus


*საკვანძო სიტყვები: ოკუპირებული აფხაზეთი, ჩერქეზული საკითხი, გეოპოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, საქართველო*
*Keywords: Occupied Abkhazia, Circassian issue, Geopolitics, International relations, Georgia*

რუსეთის ფედერაციას დღეს ჩრდილოდასავლეთ კავკასიაში შექმნილი აქვს გარკვეული პრობლემები „ჩერქეზულ საკითხთან“ დაკავშირებით, რადგან რუსეთის მხრიდან დღემდე ჩერქეზთა გენოციდი და ტრაგიკული მოვლენები არ გამხდარა რეალური ისტორიული შეფასების საგანი, ხოლო ჩერქეზული დიასპორისა და ადგილობრივ ჩერქეზთა მოძრაობა კვლავ დგას დღის წესრიგში. ჩრდილოეთ კავკასიის ცალ-ცალკე დანაწევრებულ ჩერქეზულ სუბიექტებშიც კი რუსეთი დიდ საფრთხეს ხედავს. რეგიონში მწვავე გეოპოლიტიკური საკითხების გადასაჭრელ ინსტრუმენტად რუსეთს ესახება საქართველოს განუყოფელი და ახლა ოკუპირებული ტერიტორია – აფხაზეთი, სადაც რუსეთის პროპაგანდამ ორი საუკუნის მანძილზე შედეგი გამოიღო – მოხდა გაუცხოება ქართველ და აფსუა ხალხებს შორის. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის – აფხაზეთის – აღიარებით რუსეთს სურს აჩვენოს ჩერქეზებს, რომ მათი მოძმე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფსუა ეთნოსი რუსეთის ფრთებქვეშ არის „დაცული“. ჩერქეზული საკითხი კვლავ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგში (რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა), თანაც ისე, რომ ეს აღიქმება ანტირუსულ კონტექსტში. რუსეთს სურს არსებულ სიტუაციაში ოკუპირებულმა აფხაზეთმა, რომლის „დამოუკიდებლობაც“ რუსეთმა აღიარა, შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი რუსეთსა და ჩერქეზულ დიასპორას შორის კონსტრუქციული დიალოგის წარმართვაში, ოღონდ გარკვეული პირობებით. ეთნიკური აფსუები, როგორც აფხაზეთში, ასევე დიასპორაში მყოფი, „ვალში არიან“ რუსეთის წინაშე აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობით. ამიტომ აფსუებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ – დაეხმარონ რუსეთს „ჩერქეზული საკითხის“ გადაწყვეტაში რუსეთის ინტერესების შესაბამისად. ამ გეო-

პოლიტიკურ კონტექსტში რუსეთის მხრიდან იგნორირებული საქართველო და ოფიციალური საქართველოც არ არის გააქტიურებული ამ საკითხის განსახილველად საერთაშორისო თანამეგობრობასთან.

კვლევა ჩატარებული არის ემპირიული მასალის საფუძველზე.

Today, the Russian Federation has certain problems related to the "Circassian issue" in the Western Caucasus, because the genocide and tragic events of the Circassians have not been the subject of a real historical assessment from the Russian side, and the movement of the Circassian diaspora and local Circassians is still on the agenda. Russia sees a great danger even in the separate Circassian entities of the North Caucasus. As an instrument to solve the acute geopolitical issues in the region, Russia sees the indivisible and now occupied territory of Georgia – Abkhazia, where Russian propaganda has yielded results for two centuries – alienation occurred between the *Georgian* and *Apsua* peoples. By recognizing the occupied territory of Georgia – Abkhazia – by Russia, Russia wants to show the Circassians that their brother *Apsua* ethnic group living in the territory of Abkhazia is "protected" under the wings of Russia. The Circassian issue is still important in the agenda of international relations (Russia–Turkey relations), even though it is perceived in an anti-Russian context. In the current situation, Russia wants the occupied Abkhazia, whose "independence" Russia has recognized, to play an important role in conducting a constructive dialogue between Russia and the Circassian diaspora, but under certain conditions. Ethnic *Apsuas,* both in Abkhazia and in the diaspora, are "in debt" to Russia for declaring Abkhazia's independence. Therefore, *Apsuas* consider it expedient to help Rus-

sia in solving the "Circassian issue" in accordance with Russia's interests.

In this geopolitical context, Georgia is ignored by Russia, and official Georgia is not active in discussing this issue with the international community.

The research is conducted on the basis of empirical material.